ოქმი:**ო63. 63243624**
თარიღი:**27/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N20

ქ. სამტრედია 26 დეკემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა.

მერაბ უღრელიძე - წარმოგიდგენთ, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმას, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვიხილოთ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ სამუშაო გეგმაში ცვლილების შეტანა.

1. 2025 წლის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება (იანვარი).

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (თებერვალი).

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 2025 წლის გამოყოფილი თანხის განსახორციელებელი პროექტების განხილვა (მარტი).

4.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (აპრილი).

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი, დეკემბერი).

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.(მაისი)

7. ინფორმაციის მოსმენა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (მაისი-სექტემბერი).

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 (ექვსი) თვის ბიუჯეტის მოსმენა და შესაბამისი დასკვნის მომზადება (ივლისი).

9.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2025 წელს განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა (ივლისი, ნოემბერი).

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9(ცხრა) თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (ოქტომბერი).

11. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში).

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა (წლის განმავლობაში).

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (ოქტომბერი)

14. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, ნოემბერი).

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი).

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (დეკემბერი).

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (დეკემბერი).

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული განხილულ და დამტკიცებულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე